

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

სექტემბერი

2023



ელექტოენერჯის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 4%-ით გაიზარდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი 5%-ით შემცირდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 1%-ით, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 10%-ით გაიზარდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 250 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის აგვისტოსთვის სრული წარმოების 17% და მოხმარების 21%-ია.
- აგვისტოში იმპორტი არ განხორციელებულა.
- აგვისტოში განხორციელდა 196 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- ექსპორტის ფასი 7.00 ცენტი, ან 18.36 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის აგვისტოში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 5,696-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის აგვისტოში ინდექსის მნიშვნელობამ 2,345 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტრომიწოდებალი კომპანია
ეკ ჯორჯია	ეკ ჯორჯია მიწოდებისთვის


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის სექტემბერში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,118 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 6%-იან კლებას წარმოადგენს (2022 წლის სექტემბერში სრული წარმოება 1,194 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური კლება ჰიდროელექტროსადგურების (-7%) და თბოელექტროსადგურების (-5%) გამომუშავების კლებამ განაპირობა, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების (+10%) გამომუშავება გაიზარდა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 24%-ით შემცირდა (2023 წლის აგვისტოში სრული წარმოება 1,463 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე შემცირება ჰიდროელექტროსადგურების (-38%) გამომუშავების შემცირებამ გამოიწვია, მაშინ როცა ქარის ელექტროსადგურების (+25%) და თბოელექტროსადგურების (+86%) გამომუშავება გაიზარდა.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 938 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (11%-ით ნაკლები 2022 წლის სექტემბერთან შედარებით და 23%-ით ნაკლები 2023 წლის აგვისტოსთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის სექტემბერში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 180 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 16%-სა და სრული მოხმარების 19%-ს შეადგენდა (2022 წლის სექტემბერში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 144 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების 12%, ხოლო სრული მოხმარების დაახლოებით 14%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის სექტემბერში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 808 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 72.2%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 302 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 27%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 8 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.7%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 66% გამოიმუშავა (533 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 26% (213 მილიონი კილოვატსაათი) და 8% (61 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, გარდაბანი 1-მა გამოიმუშავა 151 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 50% და ჯამური გამომუშავების 13.5%), ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 151 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 50% და ჯამური გამომუშავების 13.5%) (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილჰესმა 72 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 13.6% და სრული წარმოების 6.5%). ენგურჰესმა 378 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯის 70.8%-ს და სრული წარმოების 33.8%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).


დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის სექტემბერთან შედარებით 6%-ით შემცირდა (დიაგრამა 6).

დიაგრამა 6 - გამომუშავების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერჯო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (38% – 356 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (18% – 167 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (25% – 232 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (19% – 182 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 9%-ით და 36%-ით ხოლო თელასი/თელმიკოსგან და ენერჯო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 1%-ითა და 1.5%-ით გაიზარდა, 2022 წლის სექტემბერთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის სექტემბერში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 11%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის სექტემბრის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერჯო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერჯო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში საქართველოდან იმპორტი არ განხორციელებულა (2022 წლის სექტემბერში 0.15 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში) (დიაგრამა 9). 2023 წლის სექტემბერში საქართველოდან 132 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა (2022 წლის სექტემბერში 94 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 10). ექსპორტის თითქმის 100% თურქეთში გავიდა, ხოლო უმნიშვნელო რაოდენობის ექსპორტი აზერბაიჯანში (2022 წლის სექტემბერში ექსპორტის 97% გავიდა თურქეთში და 3% სომხეთში).

2023 წლის სექტემბერში 300 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან თურქეთში (2022 წლის სექტემბერში განხორციელდა 393 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).


2023 წლის სექტემბერში იმპორტი შემცირდა 100% 2022 წლის სექტემბერთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 41%-ით გაიზარდა.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით




წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში, ისევე როგორც აგვისტოში იმპორტი არ განხორციელებულა (დიაგრამა 11). 2023 წლის სექტემბერში ექსპორტი 33%-ით შემცირდა 2023 წლის აგვისტოსთან შედარებით (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით




დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით



1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის სექტემბერში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 90% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 10% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 14.3 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 5%-იან წლიურ კლებას შეესაბამება 2022 წლის სექტემბერთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 11.7 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის სექტემბრის მონაცემის ტოლია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 14.9 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის სექტემბრის მონაცემზე 8%-ით ნაკლებია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში, ისევე როგორც 2022 წლის სექტემბერში და 2023 წლის აგვისტოში ელექტროენერჯის იმპორტი არ განხორციელებულა, ამიტომ თვიურ და წლიურ ტრენდს ვერ შევაფასებთ. (დიაგრამა 16). 2023 წლის სექტემბერში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 7.00 ცენტი, ან 18.52 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 16%-იან, ხოლო ლარში - 22%-იან ზრდას (2022 წლის სექტემბერში ფასები 8.37 ცენტი, ან 23.85 თეთრი იყო კილოვატსაათზე) (დიაგრამა 16). 2023-ის აგვისტოსთან შედარებით ექსპორტის ფასი 0.001%-ით შემცირდა დოლარში და 0.88%-ით ლარში (2023 წლის აგვისტოში ფასები 7.00 ცენტი, ან 18.36 თეთრი იყო).

დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები




■ იმპორტის შეწონილი ფასი ■ ექსპორტის შეწონილი ფასი

წყარო: ესკო

2023 წლის სექტემბერში, იმპორტი არ განხორციელებულა (დიაგრამა 17).


დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



წყარო: ესკო/საქსტატი

2023 წლის სექტემბერში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი თურქეთში 7.00 ცენტს, ან 18.52 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, ხოლო აზერბაიჯანში 6.77 ცენტს, ან 17.91 თეთრს (დიაგრამა 18).

დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით




წყარო: ესკო/საქსტატი

2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის სექტემბერში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და HHI ინდექსი 5,964 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის სექტემბრის მონაცემზე (HHI 5,083 ერთეული) და 2023 წლის აგვისტოს მაჩვენებელზე (HHI 5,694 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის სექტემბერში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,399 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის სექტემბრის მაჩვენებელზე (1,977) და 2023 წლის აგვისტოს მაჩვენებელზე (2,345) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო